დეონტოლოგიის ევროპული კოდექსი*

(მიღებულია ევროკავშირის ნოტარიატების კონფერენციის მიერ 1995 წლის 4 თებერვალს, ქ. ნაპოლიში)

ვადასტურებთ, რომ

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შიდა ბაზრის ფუნქციონირება და პირების, კაპიტალისა და ქონების თავისუფალი მოძრაობა იწვევს უცხო ელემენტის შემცველი საქონელბრუნვის, სავაჭრო იურიდიული ოპერაციებისა და, უმთავრესად, გარიგებების მუდმივ ზრდას.

ამ იურიდიულ გარიგებათა მრავალფეროვნება და მუდმივი ზრდა საქმეებისა (შემთხვევებისა), რომელთა ამსახველ აქტებში არსებობს უცხო ელემენტი, ავალებს ევროპელ ნოტარიუსებს მოიძიონ თავიანთი თანამშრომლობის წესი (საფუძვლები) ტრანსნაციონალურ ოპერაციებში მომხმარებელთა გარანტიის შექმნის, კონსულტაციისა და დახმარების მიზნით.

ნოტარიუსი, საჯარო თანამდებობის პირი, სახელმწიფო ხელისუფლებისაგან უფლებამოსილი პირი, ექვემდებარება იმ სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობისა და დებულებების ნორმებს, სადაც დანიშნულია ნოტარიუსად. თავისუფალი პროფესიონალი, მხარეების კონსულტაციის ვალდებულებით აღჭურვილი ნოტარიუსი უნდა დაემორჩილოს დეონტოლოგიის ნორმებს, რომლებიც აწესრიგენებ ნოტარიატს იმ სახელმწიფოში, სადაც პირი დანიშნულია ნოტარიუსად.

ევროპის ნოტარიატებს ამ ნორმების ერთობლიობის შედარებითი ანალიზის პროცედურის შემდეგ აქვთ "ძირითადი წესების კოდექსის" დამატების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება.

ამ წესების ერთობლიობას აქვს არა იმ ნაციონალური კანონმდებლობის შეცვლის მიზანი, რომლითაც მოწესრიგებულია პროფესია თითოეულ წევრ სახელმწიფოში, არამედ სანოტარო პრაქტიკის ყოველი ასპექტის ჰარმონიზირება განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმეში ერთვება უცხო ელემენტი.

ნოტარიუსთა დეონტოლოგიის ევროპული კოდექსი მოწმობს ნოტარიატების ნებას, შეუქმნას ევროპელ მომხმარებელს დაცვის თანაბარი პირობები როგორც ნაციონალურ, ისე ტრანსნაციონალურ ოპერაციებში.

ტერმინთა განმარტება

წინამდებარე კოდექსში ქვემოთ ჩამოთვლილ გამოთქმებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ტრანსნაციონალური სამუშაო": სამუშაო, რომელიც შეიცავს ერთ უცხო ელემენტს მაინც; მაგალითად: გარიგებების ობიექტის ადგილმდებარეობა, მოქალაქეობა, მხარეების მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან საცხოვრებელი ადგილი (რეზიდენცია), ან აქტის შედგენის ადგილი.

„მიმღები ქვეყნის ნოტარიუსი, ან ნაციონალური ნოტარიუსი": ნოტარიუსი, რომელსაც აქვს ტერიტორიული კომპეტენცია და ქმნის ავთენტურ აქტებს თითოეული წევრი სახელმწიფოს ნაციონალური კანონის შესაბამისად.

„წარმოშობის ქვეყნის ნოტარიუსი, ან უცხოელი ნოტარიუსი" (არანაციონალური ნოტარიუსი): იმ სხვა წევრი სახელმწიფოს ნოტარიუსი, რომელმაც შეადგინა სანოტარო აქტი.

1. ნოტარიუსი: ცნების განმარტება

1.1. ცნება

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნოტარიატების მიერ 1990 წლის 22-23 მარტს მადრიდში ერთსულოვნად მიღებული რეზოლუციიდან გამომდინარე (რეზოლუციის შესაბამისად), „ნოტარიუსი არის თანამდებობის პირი, რომელსაც დელეგირებული აქვს სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება იმ მიზნით, რომ ნოტარიუსმა უზრუნველყოს მის მიერ შექმნილი აქტების ნამდვილობა (ავთენტურობა) და შენახვა, ამ აქტებისათვის მტკიცებულების ძალისა და სააღსრულებო ძალის მინიჭება.

საკუთარი საქმიანობის აუცილებელი დამოუკიდებლობის მიზნის მისაღწევად ნოტარიუსი თავის მოვალეობებს აღასრულებს როგორც თავისუფალი პროფესიის მქონე პირი და მისი საქმიანობა მოიცავს მთელ არასადავო (უდავო) იურიდიულ საქმეებს.

(უდავო საქმეებში) თავისი მონაწილეობით (საქმიანობით), რაც გამოიხატება მხარეებისათვის მიუკერძოებელი კონსულტაციის გაწევით, ავთენტური დოკუმენტების შედგენით, ნოტარიუსი ხელს უწყობს სამართლებრივი უსაფრთხოების სისტემის შექმნას.

სამართლებრივი უსაფრთხოება უკეთესად იქნება გარანტირებული მაშინ, როცა ნოტარიუსი არის მაღალი საუნივერსიტეტო კვალიფიკაციისა და რომელიც თავის პროფესიას ეუფლება სხვადასხვა გამოცდის ჩაბარებითა და სტაჟირების გავლით; მეორეც: როცა ნოტარიუსი იცავს მკაცრ დისციპლინურ ნორმებს და იგი იმყოფება სახელმწიფო ხელისუფლების მუდმივი კონტროლის ქვეშ და გეოგრაფიული განთავსების წყალობით იქმნება შესაძლებლობა ნოტარიუსს სამსახურისათვის მიმართონ ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე.

ამრიგად, ნოტარიუსის მონაწილეობა, რაც შესაძლო დავების თავიდან აცილების საშუალებაა, წარმოადგენს მართლმსაჯულების კარგი სისტემის აუცილებელ ელემენტს.“

1.2. საერთო ნორმების ნაწილი

1.2.1. პატიოსნება და მორალური სისუფთავე თავისი მოვალეობების აღსრულებისას

ნოტარიუსს აქვს პატიოსნებისა და მორალური სისუფთავის ვალდებულება თავისი კლიენტის, სახელმწიფოსა და თავისი კოლეგების წინაშე. კოლეგიალობის ვალდებულება ვრცელდება როგორც თავისი თანამემამულე, ისე უცხოელი კოლეგების მიმართ.

როცა უცხოელი ნოტარიუსი თანამშრომლობს ნაციონალურ კოლეგასთან იგივე საქმეზე, ისინი ვალდებულნი არიან ერთობლივად იპოვონ საერთო გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს მხარეების ინტერესების დაცვას და რომელიც შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობისა და მართლწესრიგის მოთხოვნებს.

1.2.2. მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა

ნოტარიუსი ვალდებულია მისცეს რჩევები და შეადგინოს სანოტარო აქტები ზედმიწევნით მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად.

ნოტარიუსი ვალდებულია კონსულტაციის კანონიერად მოთხოვნის შემთხვევაში მისცეს რჩევა ისე, რომ კონსულტაცია ზუსტად ითვალისწინებდეს თავისი ნაციონალური მართლწესრიგით დადგენილ აკრძალვებს.

1.2.3. პროფესიული საიდუმლოების დაცვა

თავისი კლიენტების აუცილებელი ნდობით აღჭურვილი პროფესიონალი ნოტარიუსი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება კავშირის წევრი ყველა ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ეს ვალდებულებები აკისრიათ არა მხოლოდ ნოტარიუსებს, არამედ მის კომპანიონებსა და თანამშრომლებს კავშირის წევრი ყველა ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის ნორმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2.4. იურიდიული და ტექნიკური კომპეტენცია

ევროკავშირის წევრი ქვეყნების ყოველი ნოტარიატის პროფესიული ორგანიზაციები ადგენენ ნორმებს თავისი წევრებისათვის, რომლითაც აღიარებულია მუდმივი სწავლების აუცილებლობა.

ნოტარიუსს აქვს ვალდებულება აიმაღლოს თავისი პროფესიული კულტურა, თვალყური ადევნოს და ხელი შეუწყოს თავისი თანამშრომლების მომზადების სრულყოფას.

1.2.5. საერთო რეკლამა: „მომხმარებელთა ინფორმირება მომსახურების შესახებ“

ინდივიდუალური რეკლამა აკრძალულია გარდა იმისა, რაც დაშვებული იქნება წარმოშობის ქვეყანაში, ან მიმღებ ქვეყანაში.

კოლექტიური რეკლამა შეიძლება ორგანიზებული იყოს ნაციონალური საბჭოებისა და, უმთავრესად, რეგიონული ან ადგილობრივი პროფესიული ინსტანციების მიერ მომხმარებლებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი საუკეთესო საინფორმაციო წყაროს დაფუძნების საშუალებით.

1.2.6. წოდება და დასახელება

ნოტარიუსი თავის აქტებში, თავის მიმოწერასა, და უმთავრესად, თავისი პროფესიული საქმიანობისას უთითებს ნოტარიუსის წოდებას, სახელსა და გვარს, ნაციონალური და იმ რეზიდენციის ადგილის კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც დანიშნულია ნოტარიუსად.

დაშვებულია აგრეთვე საუნივერსიტეტო წოდების მითითება.

სპეციალიზებული წოდებების გამოყენება დაშვებულია მხოლოდ წარმოშობის ქვეყანაში ამ წოდებების კანონიერად მოქმედების შემთხვევაში.

2. მიმღები წევრი ქვეყნის ნოტარიუსის მონაწილეობის საფუძვლები და წესი

2.1. ნოტარიუსის არჩევის თავისუფლება და ტერიტორიული კომპეტენცია

ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი ნოტარიუსის არჩევის, მისგან კონსულტაციის მიღების, მისთვის თავისი აქტების რედაქტირების (შედგენის) მინდობის უფლება. შეიძლება აგრეთვე

ტერიტორიული კომპეტენციის მქონე ნოტარიუსთან თანამშრომლობით დახმარების მოთხოვნა (აგრეთვე დასაშვებია, რომ კლიენტმა დახმარების მიზნით თავის ნოტარიუსს სთხოვოს თანამშრომლობა იმ ნოტარიუსთან, რომელსაც აქვს ტერიტორიული კომპეტენცია კონკრეტულ საქმეზე) იმ პასუხისმგებლობის დაცვით, რაც ეხება თავისი ფუნქციების შესრულებას.

წარმოშობის ქვეყნის ნოტარიუსმა, რომელიც თავის კლიენტს თან ახლავს (ეხმარება) უცხოეთში, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს ტერიტორიული კომპეტენციის მქონე ნოტარიუსს, შესაძლებლად უმოკლეს დროში, და შეუთანხმოს აგრეთვე თავისი თანამშრომლობის წესი.

ყველა შემთხვევაში მხოლოდ ტერიტორიული კომპეტენციის მქონე ნოტარიუსს აქვს სტიპულაციის (აქტის შეპირობებისა და დამოწმების) უფლებამოსილება.

2.2. დეონტოლოგიის ნორმების გამოყენება

ნოტარიუსი, როცა ახორციელებს ტრანსნაციონალურ სამუშაოს, სარგებლობს (იყენებს) თავისი წარმოშობის ქვეყნის, მიმღები ქვეყნისა და წინამდებარე დეონტოლოგიის კოდექსის ნორმებით.

2.3. ანაზღაურება

უცხოელმა ნოტარიუსმა, რომელიც თანამშრომლობს ტერიტორიული კომპეტენციის მქონე ნოტარიუსთან, თავისი მონაწილეობის (ჩარევის) შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს თავის კლიენტს თავისი შრომის (წვლილის) შედეგი ისევე, როგორც ხარჯებისა და ჰონორარის ოდენობა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძვლებიდან და გარანტირებული (უზრუნველყოფილი) უნდა იყოს, რომ ხარჯების საერთო ჯამი იქნება დაბალი იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

2.4. გარანტია

ნოტარიუსი ვალდებულია დადოს დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობით წარმოშობის ქვეყანაში თუ მიმღებ ქვეყანაში მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

3. გამოყენება და დავა

ნოტარიუსის დეონტოლოგიის წინამდებარე ევროპული კოდექსის ინტერპრეტაციის, ან გამოყენების ნებისმიერი სირთულე, აგრეთვე ამ კოდექსით გაუთვალისწინებელი საკითხები ექვემდებარება ევროკავშირის ნოტარიატების კონფერენციის პრეზიდენტს, ხოლო შემდეგ უნდა იყოს იმ ნაციონალური ნოტარიატის ორგანიზაციის განხილვის საგანი, რომლის წევრიცაა ნოტარიუსი, რომელმაც დასვა საკითხი (ინტერპრეტაციის, ან გამოყენებისა).

4. რატიფიკაცია

წინამდებარე ევროპული კოდექსი ექვემდებარება მასზე ხელმომწერი წევრების მიერ რატიფიკაციას.

სარატიფიკაციო სიგელები შენახულ უნდა იქნას ევროკავშირის ნოტარიატების კონფერენციის ბიუროში ბრიუსელში.

დეონტოლოგიის ევროპული კოდექსი ძალაში შედის იმ თარიღის შემდეგ პირველი თვის პირველ დღეს, როცა ორი წევრი ნოტარიატი შეინახავს (დეპოზიტში მოათავსებენ) თავიანთ სარატიფიკაციო სიგელებს. ამის საპირისპიროდ, სხვა თითოეული ხელისმომწერი წევრისათვის ამ კოდექსს

შედეგი ექნება (ეს კოდექსი ამოქმედდება) შესაბამისი სარატიფიკაციო სიგელების დეპოზიტში მოთავსების მომდევნო თვის პირველ დღეს.

**მთარგმნელის შენიშვნა:*

თარგმნილია „კოდექსის“ იტალიური ვერსიიდან შემდეგი გამოცემის მიხედვით: Giovanni Casu, Giancarlo Laurini, Codice del notaio, IPSOA, 1997.

ევროკავშირის ნოტარიატების კონფერენცია 1976 წლის 17 მაისს პარიზის ოქმით დააარსა ევროკავშირის ქვეყნების ლათინური ტიპის ნოტარიატებმა - გერმანიის, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, საბერძნეთის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიისა და ავსტრიის ნოტარიატებმა.

კონფერენციის ორგანოებია: პრეზიდენტი, პრეზიდენტის საბჭო და ასამბლეა.

წევრად მიღების საკითხს წყვეტს ასამბლეა. წევრებად მიიღებიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების ის ნოტარიატები, რომლებიც არიან ლათინური ნოტარიატის კავშირის წევრები. ასამბლეა უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევებში წევრად მიიღოს ევროკავშირის წევრობის ოფიციალურ კანდიდატად აღიარებული ქვეყნის ის ნოტარიატი, რომელიც არის ლათინური ნოტარიატის კავშირის წევრი.

კონფერენციის მიზანია პროფესიული სოლიდარობა, წევრი ნოტარიატების პოლიტიკის ჰარმონიზება, ლათინური ტიპის ნოტარიატის განვითარება საზოგადოების უკეთ მომსახურების მიზნით.

კონფერენცია წევრ ნოტარიატებს წარმოადგენს ყველა ევროპულ ორგანოში.

კონფერენცია თანამშრომლობს ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირთან. ოთარ ზოიძე